# ლევან თედიაშვილი ისევ ჩემპიონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 179
(4949)

1973 წ.
11 სექტემბერი,
სამშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტური
სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете
Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

### დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

## ათი წონა — ათი პრიზიორი

თავისუფალ ჭიდაობაში 10 წონითი კატეგორიაა. აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი ერთ რომელიმე ჩემპიონატში ნიშნავს იმას, რომ გუნდს ყველა წონაში ჰყავდეს გამარჯვებული. მაგრამ ასეთი რამ მსოფლიო ჩემპიონატის პრაქტიკაში კი არა, რიგით ტურნირებშიც არ მომხდარა. აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი ზოგჯერ ჟურნალისტებს გამოჰყავთ, ისიც იმისთვის, რომ რაიმე ახირებული დებულება დაამტკიცონ.

გასულ კვირას სსრ კავშირის ნაკრები ძალიან ახლოს იყო ამ სარეკორდო შედეგთან, თუმცა ის, რასაც გუნდმა მიაღწია, თავისებურად უნიკალური მაჩვენებელია. ყოველ შემთხვევაში, თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიას არ ახსოვს, რომ ერთ რომელიმე ქვეყანას 10 პრიზიორი ჰყოლოდეს.

თეირანის სარბიელზე პირდაპირ საოცარი რამ მოხდა: საბჭოთა მოჭიდავეებმა 6 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. გუნდური გამარჯვება ხომ რაღა სალაპარაკოა: ვის შეეძლო კონკურენცია გაეწია ასეთი ბრწყინვალე მაჩვენებლისთვის? სსრ კავშირის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ჭეშმარიტი ტრიუმფატორია.

ახლა კი ცალკეულ წონით კატეგორიებს გადავხედოთ.

48 კგ. მიუნხენის ოლიმპიადის შემდეგ მოსკოველმა რ. დმიტრიევმა ზედა წონაში გადასვლა განიზრახა. მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედლები მას უკვე მიღებული ჰქონდა. ამიტომ შეიძლებოდა ძალის მოსინჯვა უფრო მძიმე მეტოქეებთან. მაგრამ ბოლო მომენტში დმიტრიევმა განზრახვა შეცვალა და ზედმეტი კილოგრამები დაიკლო. ფავორიტმა ოსტატურად წარმართა ბრძოლა თავის წონაში, ფინალში ბულგარელი ი. მურსელოვი დაამარცხა და კვლავ მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

52 კგ. მახაჩყალელმა ა. ალახვერდიევმა ოლიმპიური შედეგი გაიმეორა: მიუნხენის ვერცხლის მედალს მან თეირანში ამავე ხარისხის ჯილდო დაუმატა. ალახვერდიევმა მხოლოდ ერთხელ წაიბორძიკა: ფინალში, ირანელ ე. ჯავად-ხთან. ირანელმა ოქროს მედალი მიიღო.

57 კგ. ალახვერდიევის თანამემამულე ვ. იუმინი სსრ კავშირის ნაკრებში პირველად გამოდის. ამდენად, ბრინჯაოს მედალი დებიუტანტს წარმატებად უნდა ჩავუთვალოთ.

62 კგ. ოლიმპიური ჩემპიონი მაინც ოლიმპიური ჩემპიონია. ზ. აბდულბეკოვმა (ისიც მახაჩყალიდანაა) თეირანში დაამტკიცა თავისი მაღალი ოსტატობა და ოქროს მედალი მიიღო. მაგრამ აბდულბეკოვის მდგომარეობა ფინალში არც ისე სახარბიელო იყო: ხუმრობაა ირანელი ფალავნის წინააღმდეგ ბრძოლა თეირანში? საბჭოთა ჩემპიონს ფრეც ხელს აძლევდა, მუჰამედ რეზა ნავაის კი მხოლოდ გამარჯვება სჭირდებოდა. ბრძოლა ფრედ დამთავრდა და აბდულბეკოვმაც საწადელს მიაღწია.

68 კგ. ნ. ნასრულაევმა (კიდევ ერთი მახაჩყალელი) მსოფლიოს წინა ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი მიიღო. თეირანში მას ვერცხლის ჯილდო ერგო. მთავარი პრიზი კი ამერიკელ ლ. კაიზერს გადაეცა.

74 კგ. რ. აშურალიევს (მეხუთე და უკანასკნელი მოჭიდავე მახაჩყალიდან) ფინალური შეხვედრა ირანელ მ. ბრზეგართან ჰქონდა. ბრძოლა ჩემპიონატის მასპინძელმა მოიგო ქულებით და ამიტომ საბჭოთა ათლეტს ვერცხლის ჯილდო ხვდა.

82 კგ. მინსკელმა ვ. სიულგინმა პირველად მაშინ ამოისუნთქა შვებით, როცა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. თედიაშვილმა წონაში მოიმატა და ასპარეზი ძველ კონკურენტებს დაუთმო. სიულგინმა ამ წონაში თედიაშვილი შეცვალა. მეორედ მინსკელმა ოსტატმა შვება გასულ კვირას იგრძნო, როცა წარმატებით დაამთავრა დავა რუმინელ ვ. იორგასთან. საღამოს იგი ვერცხლის მედლისთვის ბრძოლას ადევნებდა თვალს, „ოქრო" თვითონ ედო ჯიბეში.

90 კგ. ბოლო წლებში ლევან თედიაშვილის წინააღმდეგ ვერავინ იბრძვის. მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის უპირატესობა იმდენად დიდია, რომ ოფიციალურ ტურნირებში, ფაქტიურად, დავა მხოლოდ II ადგილისთვის წარმოებს. თედიაშვილის მეტოქეებს, ყველას უკლებლივ, როგორც წესი, ერთი მიზანი აქვთ შესასრულებელი. როგორმე არ დამარცხდნენ წმინდად, რათა ამ შედეგმა შემდგომში გავლენა არ იქონიოს II და III ადგილების განაწილებაზე. ასე იყო თეირანშიც. ლევანი გამარჯვებისთვის იბრძოდა, მისი მეტოქეები კი მხოლოდ თავს იცავდნენ და რა გასაკვირია, რომ საბჭოთა ათლეტმა საწადელს მიაღწია.

100 კგ. კრასნოიარსკელი ი. იარიგინი თეირანის ტურნირის პირველი ჩემპიონია. მან ასპარეზობა ერთი დღით ადრე დაამთავრა, კვირას კი თანაგუნდელებს ქომაგობდა.

მძიმე. მას შემდეგ, რაც სარბიელს ჩამოსცილდნენ ამ წონის ფავორიტები: ბულგარელი ო. დურალიევი, ამერიკელი კ. ტეილორი, გფრ-ის წარმომადგენელი ვ. დიტრიხი, ბურთი და მოედანი ახალგაზრდებს დარჩათ. მათ შორის ყველაზე მომზადებული, ყველაზე ძლიერი ორჯონიკიძელი ს. ანდიევი აღმოჩნდა. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ახალგაზრდა ფალავნის პირველი დიდი წარმატებაა.

ნ. ახვლედიანი.

სურათზე: ლ. თედიაშვილი.
მ. ზარგარიანის ფოტო.

## წინასწარ შედგენილი სცენარით

**დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური ჩემპიონატი საგზატკეცილო ველორბოლაში. ტურნირის ბოლო დღეს ჩატარდა ჯგუფური რბოლა 100 კილომეტრზე. რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მოიპოვა სპარტაკელმა ი. რთველიაშვილმა, რომელმაც დისტანციის გავლას 2 საათი და 40 წუთი მოანდომა. სამდღიანი ბრძოლის შემდეგ გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. „სპარტაკი", 2. „განთიადი", 3. „კოლმეურნე".**

ასეთი ერთსულოვნება ჩემპიონატის შედეგების შეფასებაში იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მწვრთნელები დაახლოებით ერთნაირ პოზიციებზე დგანან. მაგრამ ერთსულოვნებაც არის და ერთსულოვნებაც. როდესაც ყველა სპეციალისტი ერთხმად აღიარებს, რომ ჩემპიონატის სპორტული ღირებულება არც ისე მაღალია, ჩანს ამას კონკრეტული მიზეზები უდევს საფუძვლად.

რაში გამოიხატება ეს მიზეზები, ძნელი გასაგები არაა. და მაინც, მივყვეთ მწვრთნელთა შეფასებას კვალდაკვალ. შეჯიბრების მონაწილენი არ იყვნენ მზად ძნელი გამოცდისთვის. ცხადია, როცა სპორტსმენები საგულდაგულოდ არ ემზადებიან შეჯიბრებისთვის, შედეგებიც დაბალია. ამ ფაქტს დიდი კომენტარი არც სჭირდება. გასაკვირი მხოლოდ ისაა, რომ მწვრთნელები თვითონვე არ იღებენ ზომებს ამ ნაკლის გამოსასწორებლად. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ვიღაც ხელს უშლის მათ პირდაპირი მოვალეობის შესრულებაში.

ყველა სხვა ნაკლოვანება ამ ძირითადი მიზეზიდან გამომდინარეობს. სპორტსმენები არ იყვნენ მზად? — ესე იგი შედეგები დაბალია, ესე იგი ბრძოლა უინტერესო იყო, ესე იგი შეჯიბრების მსვლელობაში იმედის მომცემი არავინ გამოჩენილა და ა. შ.

ველოსიპედისტთა შეჯიბრება, განსაკუთრებით კი ჯგუფური რბოლა, იმითაა საინტერესო, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე იცვლება სიტუაცია, სპორტსმენები ათასგვარ ტაქტიკურ ხრიკებს მიმართავენ: ხან ერთმანეთს ეპარებიან, ხან გულმოდგინედ დარაჯობენ ლიდერებს. თანაგუნდელებს, როგორც წესი, ერთი საერთო ჩანაფიქრი აქვთ და მთელს რბოლას ამ ჩანაფიქრის განხორციელებაზე აგებენ.

ჩვენ, სამწუხაროდ, ასეთ ფუფუნებას, ასეთ ემოციურ მომენტებს კარგა ხანია მოკლებული ვართ. რბოლა იწყება და დაახლოებით ყველამ იცის, ვინ იგდებს ხელთ ბრძოლის სადავეებს, ვინ შეეცდება დაწინაურებას, ვინ რა თანმიმდევრობით გადაკვეთს ფინიშის ხაზს. შესაძლოა პროგნოზებში რაიმე ცვლილება მოხდეს, მაგრამ მთლიანი სურათი მაინც უცვლელი დარჩება.

ასე იყო ამჯერადაც. ყველა მეტნაკლებად დარწმუნებული იყო, რომ ჯგუფურ რბოლას სპარტაკელი რთველიაშვილი მოიგებდა, რომ დაწინაურებულთა შორის უეჭველად იქნებოდა მისი თანაგუნდელი ბ. კილასონია, იქნებოდნენ ბურევესტნიკელი რ. კობიაშვილიც, არმიელი ჯ. პეტრინიც. ერთადერთი, რასაც შეეძლო ამ რწმენის შერყევა, რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა იქნებოდა.

... დისტანციის პირველი ნახევარი მოასპარეზეებმა კომპაქტურად განვლეს. მერე დაწინაურდნენ კილასონია, კობიაშვილი და რუსთავის წარმომადგენელი ვ. კუხბა. ამ სამეულმა საგრძნობლად ჩამოიტოვა ძირითადი ჯგუფი და თითქოს საფუძველი გამოაცალა ჩვენს პროგნოზებსაც. მაგრამ ფინიშამდე დაახლოებით ერთი კილომეტრით ადრე გადამწყვეტი შეტევა წამოიწყო ფავორიტთა დუეტმა — რთველიაშვილმა და პეტრინმა. ისინი მალე დაეწივნენ „გაქცეულებს" და ზედ ფინიშთან პირველობა ერთმანეთში გაითამაშეს.

საკონტროლო ხაზი ყველაზე ადრე რთველიაშვილმა გადაკვეთა, პეტრინი მას სულ ოდნავ ჩამორჩა. მომდევნო ადგილები გაინაწილეს კილასონიამ, კუხბამ და კობიაშვილმა.

მხოლოდ სამი წუთის შემდეგ გამოჩნდა ფინიშისკენ მიმავალი ჯგუფი და კიდევ სამი წუთის შემდეგ — რბოლის დანარჩენი მონაწილენი...

* * *

სურათზე: საქართველოს 1973 წლის ჩემპიონი საგზატკეცილო ველორბოლაში, „სპარტაკის" ნაკრები გუნდი (მარცხნიდან): მწვრთნელი ო. სუჯიაშვილი, შ. დაიაური, ი. რთველიაშვილი, ა. ხაბიაური, ბ. კილასონია, ა. რაზრახაძე, ტ. რთველიაშვილი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

## საქართველოს ნიჩბოსანთა ოქროს მედლები

სასიხარულო დეპეშა მივიღეთ რიგიდან: საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა გუნდმა ორჩხომელებით ნიჩბოსნობაში სსრ კავშირის ჩემპიონობა და ოქროს მედლები მოიხვეჭა. საქართველოს ქალთა გუნდი VIII ადგილზე დარჩა. საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის ნიჩბოსანთა ნაკრებმა III საპრიზო ადგილი დაიკავა.

# ჩქეფდეს სპორტული ცხოვრება სოფლად!

**წალენჯიხის** რაიონის სოფლების ლარისა და მედანის ახალგაზრდებს არაერთხელ მიუმართავთ სათანადო ორგანოებისთვის — ხელს არ გვიწყობენ ფიზკულტურული მუშაობის გაშლაში, სტადიონის მშენებლობა დავიწყეთ, მაგრამ გადაგვიბნნეს, იქნებ დაგვეხმაროთო. მაგრამ ამ თხოვნის პასუხად დღემდე არაფერი გაკეთებულა...

**შარშან** წალენჯიხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი თ. მიქავა პირობას დებდა: მუშაობას გარდავქმნით და მომავალ სპარტაკიადაში კარგად მომზადებულ გუნდებს გამოვიყვანთო. პირობა პირობად დარჩა...

**კარგ** საქმეს ეურიდა საჭირკვალის ჩქვალერის კოლმეურნეობის გამგეობა ამ ორიოდე წლის უკან, სპორტული კომპლექსის მშენებლობა რომ დაიწყო. ბაზის საზეიმოდ გახსნის დროც დანიშნული ჰქონდათ, მაგრამ მუშაობა რატომღაც შუა გზაზე შეწყდა...

**ნაკიფუს** კოლმეურნეობაში ამბობენ: არ იჩენს ჩვენი ახალგაზრდობა ინტერესს, თორემ ორი-სამი დღის მუშაობა იყო საჭირო და კეთილმოწყობილი ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები გვექნებოდაო...

**ამ მაგალითებს,** როგორც იტყვიან, კომენტარი არ სჭირდება. ამას დავუმატებთ მხოლოდ „კოლმეურნის" წალენჯიხის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის გ. გოგუას სიტყვებს:

— ზოგიერთი სამეურნეო დარგის მუშაკი ფიზკულტურას უყურადღებოდ ეკიდება. ასჯერ უნდა შევუთვალოთ, რომ ამა და ამ დღეს სპორტის ამა და ამ სახეობაში შეჯიბრება ტარდება და გუნდები უნდა გამოგზავნოთ. მაგრამ რა გამოდის. — ან სულ არ გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს, ან დაგვიანებით მოდიან. ასეთ დროს ძნელია სპორტის მასობრიობაზე ლაპარაკი...

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა სოფლის მეურნეობის მუშაკთა II რაიონულმა სპარტაკიადამ, რომელშიც 21 ფიზკულტურული კოლექტივიდან მხოლოდ 16-მა მიიღო მონაწილეობა. არ გამოცხადებულან ლარისა და მედანის, ჯვარის რუსთაველის სახელობის, ნაკიფუს, წალენჯიხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობათა სპორტსმენები.

ტრადიციისამებრ, კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს წალენჯიხის პირველი მაისის სახელობის, ჯვარის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობებმა, ჩაის საბჭოთა მეურნეობამ. კარგად იასპარეზეს, აგრეთვე, ორჯონიკიძისა და მიქავას სასოფლო-სამეურნეო არტელების ფიზკულტურელებმა.

რაიონის ჩემპიონობა წლეულსაც პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობამ მოიპოვა. მისმა სპორტსმენებმა ცხრა სახეობაში (ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, მძლეოსნობა, ცურვა, სპორტული თევზაობა, ჭადრაკი, ტყვიის სროლა, ლელო) 183 ქულა მოაგროვეს. 170 ქულით II ადგილზე გავიდნენ ორჯონიკიძელი სპორტსმენები. III ადგილზე არიან ჯვარის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობის წარმომადგენლები — 144 ქულა.

შედეგები, მართალია, წინა წლებზე უკეთესი იყო, მაგრამ ეს მაინც არ კმარა. მაგალითად, მძლეოსნობაში (100 მეტრზე რბენა, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომა) ვერც ერთი მონაწილე ვერ მიუახლოვდა მესამე თანრიგის ნორმატივს.

პროგრამაში პირველად შეიტანეს 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. მაგრამ შეჯიბრება მდინარე ჰანისწყალზე მოეწყო და შედეგებიც მაღალი არ იყო. უკვე დროა საცურაო აუზი აშენდეს.

„კოლმეურნის" რაიონულ საბჭოს მეტი მუშაობა მართებს ეროვნული სახეობების განვითარებისთვის.

განვლილი სპარტაკიადა გაკვეთილი უნდა იყოს სოფლის სპორტსმენებისთვის. რაიონში სპორტის მასობრივად დანერგვას გაცილებით მეტი ზრუნვა სჭირდება.

ო. სალია.
(ჩვენი კორ.).

წალენჯიხა.

---

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

# საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობას — მეტი ყურადღება

ამას წინათ საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა მოისმინა „საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საზოგადოებრივ საწყისებზე ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზაციაში რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაწილეობისა და სპორტული მოედნებისა და საცურაო აუზების მშენებლობის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის 1973 წლის 6 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის საკითხი.

აღინიშნა, რომ შრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოსახლეობაში მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის უკეთ მოსაწყობად. ბევრგან შეიქმნა ვეტერანთა საზოგადოებრივი საბჭოები, კარგ ტრადიციად იქცა ეზოს ფიზკულტურული კოლექტივების ჩამოყალიბება, მათს საქმიანობაში სპორტსმენთა და ფიზკულტურულ მუშაკთა ჩაბმა.

მუშაობის გამოცოცხლებასთან ერთად ჯერ კიდევ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებები: ჯანმრთელობისა და დასვენების სახალხო კლუბები („დელისი", „დილა", „გაზაფხული", „იმერეთი", „რიონი") თავდაპირველად ენერგიულად მოეკიდნენ საქმეს, მერე, რაკი მათს მიმართ ყურადღება და დახმარება შესუსტდა, დიდი და სასარგებლო საქმისთვის მოწოდებულმა კლუბებმა თანდათან დაკარგეს ინტერესი.

სახლმმართველობები, ფიზკულტურული ორგანიზაციები თვითდამშვიდებას მიეცნენ და ცდილობენ ამ კლუბებს მიაწერონ არაორგანიზებულად, თვით მოსახლეობის მიერ მოწყობილი გართობა-დასვენების ღონისძიებები. ასეთი უსისტემო, სტიქიური მუშაობა, ცხადია, არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ბევრგან ეს კლუბები (განსაკუთრებით, „დელისი" — საბურთალოს მასივში და „დილა" — დიღმის მასივში) მოედნების გაუქმებამ ძალიან დააზარალა.

მასივებში ყველგან როდი აქვთ ოთახები სხდომების ჩასატარებლად და ინვენტარის შესანახად. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, უშუალოდ საცხოვრებელ ადგილებში ძალიან ნელა მიმდინარეობს ახალი მარტივი სპორტბაზების, განსაკუთრებით, საცურაო აუზებისა და საჭყუმპალაოების მოწყობა. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

ბევრგან რეზერვები გამოუყენებელია. მაგალითად, სამტრედიის რაიონის კულაშის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ტექნიკუმისა და კასპის რაიონის მამაპაპური ღვინოების ქარხნის ეზოებში დეკორაციული საცურაო აუზები, თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთის თევზსაცავი, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ცხინვალის საწარმო-დაწესებულებების აუზები და წყალსაცავები ჯერ კიდევ არაა გამოყენებული მშრომელთა და მათი ოჯახების წევრთა შორის ცურვის დასანერგად.

ბევრგან გაუქმებულია უშუალოდ საცხოვრებელ მასივებსა და ეზოებში მდებარე სპორტული დარბაზები და მოედნები.

არადამაკმაყოფილებელია პედაგოგ-ორგანიზატორთა მუშაობა. ეს იმით უნდა აიხსნას, რომ პედაგოგ-ორგანიზატორებად კანდიდატების შერჩევისას უპირატესობას ფიზკულტურის სპეციალისტებს არ ანიჭებენ. ლენინის რაიონში მომუშავე რვა პედაგოგ-ორგანიზატორიდან, მაგალითად, არც ერთს არა აქვს ფიზკულტურული განათლება. ანალოგიური მდგომარეობაა თბილისის სხვა რაიონებშიც.

საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები არ იყენებენ კანონიერ უფლებებს. სუსტად ამოწმებენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორების მოადგილეები კლასგარეშე მუშაობის დარგში, მილიციის ბავშვთა ოთახის მუშაკები, საქალაქო და რაიონული საბჭოების ინსპექტორები, სახლმმართველობების პედაგოგ-ორგანიზატორები და პროკურორის თანაშემწეები, რომლებსაც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არასრულწლოვანთა თავისუფალ დროს გართობა-დასვენების ორგანიზაცია და ზედამხედველობა ევალებათ, გაუმართლებლად უგულებელყოფენ აღმზრდელობითს მუშაობაში ფიზკულტურისა და სპორტის კეთილისმყოფელ გავლენას, ურთიერთობა არა აქვთ ეზოს ფიზკულტურის აქტივთან და მის საბჭოსთან, საერთო ამოცანის გადაწყვეტისთვის არა აქვთ ერთობლივად შემუშავებული გეგმა.

შეუთანხმებელ მუშაობას უნდა მიეწეროს ისიც, რომ ბევრგან ხელაღებით ნადგურდება არსებული სპორტბაზები, რაზეც უამრავი სიგნალი შემოდის გაზეთების რედაქციებში, პარტიულ, საბჭოთა და ფიზკულტურულ ორგანიზაციებში. მოსახლეობაში ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის სისუსტეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ხშირად საცხოვრებელ მასივებში სპორტული მოედნების მოწყობის თაოსნები თვით მოსახლეობის მხრივ აწყდებიან წინააღმდეგობას. ასე მოხდა თბილისში, როცა ლენინის ქუჩის II შესახვევის № 5 სახლთან კალინინის რაიონის ფიზკულტურის კომიტეტმა სპორტული მოედნის მოწყობა გადაწყვიტა.

ბევრი სპორტული ბაზა შეეწირა სარეკონსტრუქციო და კომუნალურ სამუშაოებს (მაგალითად, თბილისში წერეთლის პროსპექტზე № 73-ში თბომეურნეობის სამუშაოების დროს, მე-18 სახლმმართველობის მიკრორაიონში — კუკიის სასაფლაოს გაფართოებისას და სხვ.).

დიდი ჩამორჩენაა არდადეგების პერიოდში ქალაქში დარჩენილი არასრულწლოვანი ბავშვების სპორტულ სექციებში მიზიდვის მხრივ. „ტყავის ბურთის" პრიზის გარდა იშვიათად ტარდება ეზოების, ქუჩებისა და სახლმმართველობების პირველობები მასობრივ სახეობებში. სახლმმართველობები ყველგან როდი იყენებენ დანიშნულებისამებრ ბინის ქირის 2 და არასაცხოვრებელი ფართობის შემოსავლის 5 პროცენტს. არადამაკმაყოფილებელია რაიონში ჭარბი სახსრების გამოყენებით სპორტული ბაზების მშენებლობის მდგომარეობა. საქალაქო საბჭოს აღმასკომები არ ახორციელებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „რესპუბლიკის ქალაქებში სპორტულ ნაგებობათა ქსელის გაფართოების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ".

პრესა, რადიო და ტელევიზია ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის პრობლემებს.

ყოველივე ამის გამო საქართველოს სპორტკომიტეტის კოლეგიამ **დაადგინა:**

მოსახლეობას შორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით საზოგადოებრივ საწყისებზე ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზაციაში რესპუბლიკის სპორტსმენთა მონაწილეობისა და სპორტული მოედნების და საცურაო აუზების მშენებლობის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის 1973 წლის 6 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა ჩაითვალოს არადამაკმაყოფილებლად.

დაევალოს აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ფიზკულტურის კომიტეტებს:

უმოკლეს ვადაში საზოგადოებრივ საწყისებზე შეისწავლონ ეზოების სახლმმართველობებისა და მიკრორაიონების ფიზკულტურის კოლექტივების ჩამოყალიბების რეალური შესაძლებლობები.

მჭიდრო კავშირი დაამყარონ ახალგაზრდობის და, განსაკუთრებით, არასრულწლოვანთა აღზრდის ყველა რგოლთან, იმოქმედონ შეთანხმებულად შემუშავებული გეგმით. მტკიცე კონტროლი დააწესონ მიღებული გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების შესრულებაზე. აღნიშნული საკითხები აღმასკომის სხდომებზე გაიტანონ განსახილველად.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მთელი მუშაობა წარმართონ იმ მიზნით, რომ ფიზკულტურა და სპორტი მოზარდებს დაეხმაროს თავისუფალი დროის აქტიურად გამოყენებაში.

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის აქტივიზაციისთვის ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება ეზოს ფიზკულტურულ კოლექტივებსა და სახლმმართველობებს შორის. შეჯიბრებების პირობებში აუცილებლად გაითვალისწინონ არასრულწლოვანთა საერთო კონტინგენტის ორგანიზებულად მომუშავე ფიზკულტურულ-სპორტულ სექციებსა და ჯგუფებში მოზიდვის პროცენტული შეფარდება, მასობრივ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარება, მშდ კომპლექსის ნორმატივებში მომზადება და სხვ. გამონახონ ეფექტური ფორმები გამარჯვებული კოლექტივების წახალისებისთვის.

გამოჩენილ სპორტსმენთაგან გამოყონ სპეციალური ბრიგადები, მოაწყონ მათი შეხვედრები ახალგაზრდებთან, გამართონ სპორტული საღამოები, წაიკითხონ ლექცია-მოხსენებები და სხვ. უზრუნველყონ საზოგადოებრივი კადრების (მსაჯები, ინსტრუქტორები, მეთოდისტები) მომზადება უშუალოდ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ეთხოვოს ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ სამშენებლო ორგანიზაციები მასივებისა და კორპუსების მშენებლობისას არ ითვალისწინებენ ზემდგომი ორგანოების დადგენილებას საცხოვრებელ კორპუსებთან ერთად სპორტული ბაზების, საცურაო აუზების მშენებლობის შესახებ.

ეთხოვოს კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გააძლიეროს ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის კონტროლი მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებით მიაღწიოს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სპორტული ჯგუფებისა და სექციების მუშაობისთვის პირობების გაუმჯობესებას.

---

## მოგზაურობა „რა-2"-ის ვიმპელით

ვიმპელი, რომელმაც პაპირუსის ნავ „რა-2"-ით ატლანტის ოკეანე გადაცურა, ახლა ისევ დაადგა წყლის ბილიკებს. იგი თან წაიღო უსტ-კამენოგორსკის ახალგაზრდულმა სამეცნიერო-სპორტულმა ექსპედიციამ.

ვიმპელი ჟურნალ „კომსომოლსკაია პრავდას" რედაქციაში ინახებოდა (იგი ეკიპაჟის წევრმა ი. სენკევიჩმა ჩამოიტანა). ახლა გადაწყდა ეს ვიმპელი გარდამავალ ჯილდოდ დააწესონ და წლის ყველაზე საინტერესო ახალგაზრდულ ექსპედიციას გადასცენ. პირველად

ჩვენი დიდი [illegible]

იგი ყაზახეთის წარმომადგენლებმა მიიღეს.

თოთხმეტკაციანი რაზმი რეზინის შვიდი გასაბერი ნავით მოგზაურობს მდინარე ამუ-დარიაზე და არალის ზღვაში. მოგზაურებმა 2 ათასამდე კილომეტრი უნდა გაიარონ. გზად ისინი შეასრულებენ სამედიცინო-ბიოლოგიური პრობლემების ინსტიტუტში დამუშავებულ ექსპერიმენტთა ვრცელ პროგრამას. რაზმის ერთი ნაწილი მოგზაურობის პერიოდში მხოლოდ ზღვის წყალზე და თევზზე იქნება.

ექსპედიციას სათავეში უდგას ყოფილი სამხედრო მეზღვაური, ამჟამად უსტ-კამენოგორსკის ტყვია-თუთიის კომბინატის მუშაკი ვ. დიდენკო. მისთვის ეს მოგზაურობა პირველი როდია. შარშან, მაგალითად, უსტ-კამენოგორსკის მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფთან ერთად დიდენკომ 1800 კილომეტრი ფეხით გაიარა ყიზილ-ყუმისა და ყარაყუმის უდაბნოებში.

მ. განჟა,
(საკდეხის კორ.).

ალმა-ათა.

დოლი

ჰ. ზარგარიანის ფოტო

1973

## ჩემპიონატის ჩრდილში

8 სექტემბერს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

„ზარია“ — „არარატი“ 0:1. ამ უკიდურესად დაძაბულ, საპასუხისმგებლო მატჩში ორივე მხარე ძალების სრული მობილიზებით, თავგამოდებით იბრძოდა. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ერევნელმა პეტროსიანმა გაიტანა 77-ე წუთზე.

„ზენიტი“ — „კარპატი“ 3:0. ლენინგრადელმა ფეხბურთელებმა დიდი უპირატესობით ჩაატარეს თამაში და დიდი ანგარიშითაც დაამარცხეს მეტოქე. 2 ბურთი გაიტანა ტრემბაჩმა, 1 — სადირინმა.

ცსკა — „დნეპრი“ 3:5 (პენალტებით. ძირითადი დრო — 0:0).

„სპარტაკი“ — „ტორპედო“ 6:5 (პენალტებით. ძირითადი დრო — 1:1). ანგარიში გახსნა სპარტაკელმა მინაევმა, შემდგომში კი ტორპედოელთა კაპიტანმა ნიკონოვმა გაქვითა ეს გოლი და საჭირო გახდა დამატებითი პენალტები. აქ უფრო ზუსტნი სპარტაკელები იყვნენ.

„დინამო“ (მინსკი) — „დინამო“ (მოსკოვი) 2:1. გათამაშების აუტსაიდერისა და ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტის ბრძოლა უკიდურესად მწვავედ ჩატარდა. მინსკელებმა შეძლეს მეტად საჭირო 2 ქულის აღება.

„შახტიორი“ — „ფახტაკორი“ 1:0.

ასკ (დონის როსტოვი) — „ქაირათი“ 1:2.

---

სსრ კავშირის ჩემპიონატი

# მეორე ტაიმში დათმეს...

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 8 სექტემბერი.

„დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი) 2:1 (0:1).

კიევი — სამოხინი, დამინი, ფომენკო, რეშკო, მატვიენკო, დოცენკო (ზუევი), მუნტიანი, ბურიაკი, ხემიონოვი, ვერემეევი, ბლოხინი.

თბილისი — გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ჰელიძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (მჭედლიშვილი), ყიფიანი (გ. ნოდია), ლ. ნოდია.

მსაჯი — ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

გაფრთხილებულია რ. ძოძუაშვილი.

მოწინააღმდეგე მხარეები ამ მატჩში ძალიან რთული პრობლემების წინაშე იდგნენ. კიევის „დინამო“ სულ „ერთი ნაბიჯით“ ჩამორჩება გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს — „არარატს“ და ამიტომ მისთვის ქულის დაკარგვა შეიძლება საბედისწერო გამოდგეს. მაგრამ მარაგის შევსება აუცილებლად ესაჭიროებოდათ თბილისელებსაც, რომლებიც მათთვის ერთობ შეუფერებელ ადგილზე არიან სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში.

მატჩის დასაწყისი კიეველთა სასარგებლოდ წარიმართა. მათი იერიშები კარგად მოფიქრებული, საფუძვლიანად მომზადებული იყო და ანგარიშის გახსნას ბევრი არაფერი აკლდა, როცა ბურიაკმა ზუსტი გადაცემით გაიყვანა გოგიას პირისპირ ბლოხინი. ეს იყო ორი ფეხბურთელის — ფორვარდისა და მეკარის უშუალო „დუელი“, რომელიც მეკარის სასარგებლოდ დამთავრდა. გოგიამ ბოლო წამს იმარჯვა და კარი აშკარა ხიფათს გადაარჩინა.

ამ ეპიზოდს მოჰყვა სტუმრების კონტრშეტევა. ლ. ნოდიამ მე-8 წუთზე მინდვრის სიღრმიდან გადააწოდა მარჯვენა ფლანგზე გუცაევს, მან — ყიფიანს. ამ უკანასკნელმა შეძლო მცველისა და მეკარის მოტყუება, რის შემდეგაც ძნელი მდგომარეობიდან, თითქმის პირითი ხაზიდან დაარტყა ცარიელ კარში. ბურთი შორეულ ძელთან გახვია ბადეში — 1:0.

მასპინძლებმა დაუყოვნებლივ მიმართეს ყველა ზომას მდგომარეობის გამოსასწორებლად. ისინი მაშინვე დაეუფლნენ ინიციატივას, აქტიურად ჩართეს იერიშებში ნახევარმცველები და მეტოქე აიძულეს ძირითადად დაცვაზე ეზრუნა. თბილისელებს ხიფათის თავიდან ასაცილებლად დასჭირდათ ლ. ნოდიას ნახევარდაცვაში დახევა, დაცვის რიგების გაძლიერება, ხოლო გოგიას სისტემატურად უხდებოდა თამაშში ჩართვა.

კიეველებმა ტაიმის დასასრულამდე ვერ შეძლეს ანგარიშის შეცვლა, თუმცა საამისო შესაძლებლობა არაერთხელ შეიქმნათ. კიდევ უფრო იმატა მათმა უპირატესობამ შესვენების შემდეგ. თბილისელთა საჯარიმო მოედანზე ხშირად იქმნებოდა სახიფათო სიტუაციები, მცველები, ნახევარმცველები, მეკარე გოგია სრული დატვირთვით თამაშობდნენ. წინა ხაზზე იმყოფებოდნენ მხოლოდ გუცაევი და ყიფიანი, რომლებიც ეპიზოდურად თუ ახერხებდნენ კონტრთამაშის შექმნას, მაგრამ მალე ყიფიანი დაშავდა და მინდვრის დატოვება მოუხდა, ხოლო გუცაევი ნახევარმცველ მჭედლიშვილით შეცვალეს.

70-ე წუთზე კიეველებმა, როგორც იქნა, მიაღწიეს საწადელს: [illegible] ბლოხინის კომბინაცია საპასუხო გოლით დამთავრდა, 7 წუთის შემდეგ კი ვერემეევმა კარგ პოზიციაში გაიყვანა ბურიაკი, რომელმაც მეორედ აიღო მეტოქის კარი — 2:1.

თბილისელებმა მხოლოდ ბოლო 10 წუთში შეძლეს ინიციატივის ხელში ჩაგდება და ახლა მასპინძლებს მოუხდათ საკუთარი კარის დაცვაზე ფიქრი. მათ წარმატებით გაართვეს თავი ამ ამოცანას და შეინარჩუნეს ძნელი, მაგრამ დამსახურებული გამარჯვება.

ო. ბუჩა.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

● ●

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არარატი“ (ერევანი) | 23 | 13 | 2 | 8 | 61—42(41—21) | 28 |
| „დინამო“ (კიევი) | 23 | 12 | 3 | 8 | 69—51(36—19) | 27 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 23 | 11 | 3 | 9 | 47—45(24—21) | 25 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 22 | 9 | 5 | 8 | 63—51(31—22) | 23 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 23 | 8 | 7 | 8 | 66—57(29—29) | 23 |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 23 | 11 | 0 | 12 | 39—34(29—18) | 22 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 22 | 9 | 3 | 10 | 56—52(27—24) | 21 |
| ცსკა | 23 | 8 | 5 | 10 | 54—65(27—29) | 21 |
| „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 23 | 8 | 5 | 10 | 49—55(23—33) | 21 |
| „დინამო“ (თბილისი) | 22 | 7 | 5 | 10 | 53—49(22—23) | 19 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 23 | 7 | 3 | 13 | 73—72(27—23) | 17 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 22 | 8 | 0 | 14 | 39—49(23—27) | 16 |
| „ფახტაკორი“ (ტაშკენტი) | 22 | 6 | 1 | 15 | 46—56(28—32) | 13 |
| „დინამო“ (მინსკი) | 22 | 5 | 2 | 15 | 56—68(16—25) | 12 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 23 | 3 | 5 | 15 | 60—74(15—30) | 11 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 23 | 4 | 3 | 16 | 43—64(22—44) | 11 |

---

# ბელგრადი — მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი

### ვერცხლის პრიზიორები

მსაჯის საფინალო სასტვენი, რომელმაც ოლიმპიურ ჩემპიონებს — საბჭოთა წყალბურთელებს ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსნებთან — ამერიკელებთან გამარჯვება (8:5) მოუტანა, ამავე დროს მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის დამამთავრებელი აკორდი გახლდათ. საბჭოთა წყალბურთელებმა ვერცხლის მედლები მოიპოვეს, თუმცა შეეძლოთ ოქროსთვის ებრძოლათ. მსოფლიოს პირველი ჩემპიონები გახდნენ უნგრელები, რომლებთან შეხვედრაშიც სსრ კავშირის გუნდმა ერთადერთი მარცხი იწვნია. მსოფლიო ჩემპიონების გუნდის შემადგენლობა თითქმის ისეთივე იყო, როგორიც ოლიმპიურ თამაშებში. მათ მხოლოდ ორი დებიუტანტი ჰყავდათ, მაშინ როცა საბჭოთა გუნდში ხუთი ახალბედა იყო.

### ტიტულები დათმეს

სსრ კავშირის წყალში მხტომელთა შორის იყვნენ როგორც ოლიმპიური ჩემპიონი, ასევე ევროპის თასის გათამაშებასა და უნივერსიადაში გამარჯვებულნი, მაგრამ გუნდი მაინც სუსტად გამოვიდა. კოშკიდან ხტომაში მინსკელ ნ. მიხაილინსა და ერევნელ დ. ამბარცუმიანს შესაბამისად V და VII ადგილები ხვდათ. გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, იტალიელმა კ. დიბიასიმ — 559, 53 ქულა. სამაგიეროდ, გაგვახარა 14 წლის პენზელმა მოსწავლემ ი. კალინინამ, რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა კოშკიდან წყალში ხტომაში.

### მოცურავეთა ბოლო სტარტები

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ქალთა შორის მსოფლიო რეკორდით (57,54) გაიმარჯვა გდრ-ის წარმომადგენელმა კ. ენდერმა. ვაჟთა შორის ამავე დისტანციაზე პირველი იყო ჯ. მონტგომერი (აშშ) — 51,70. მოსკოველი ვ. ბურე ამ დისტანციაზე მეოთხე აღმოჩნდა. რამდენიმე წუთის შემდეგ შედგა 4×100 მეტრზე კომპლექსური ცურვის ფინალი, სადაც გაიმარჯვა აშშ-ს ვაჟთა ნაკრებმა — 3.49,49.

ჩემპიონატში ბოლო მსოფლიო რეკორდი დაამყარა იტალიელმა მოცურავე ქალმა ნ. კალიგარისმა, როცა 800 მეტრი თავისუფალი სტილით 8 წუთსა და 52,97 წამში დაფარა.

„ტაშმაიდანის“ აუზი მართლაც „სწრაფი“ გამოდგა მოცურავეებისთვის: აქ 18 მსოფლიო და 8 ევროპის რეკორდი გაუმჯობესდა.

### სამერმისო გეგმები

საწყალოსნო სახეობებში მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატის გამართვა ნავარაუდევია 1975 წელს კოლუმბიაში, ხოლო ევროპის პირველობა 1974 წელს გაიმართება ავსტრიაში.

---

# მელნიკის მსოფლიო რეკორდი

## საბჭოთა მძლეოსანმა ვაჟებმა ევროპის თასი დაისაკუთრეს

ედინბურგი, 9 სექტემბერი. შოტლანდიის ამ ქალაქის „მიდოუბენკის“ სტადიონზე დამთავრდა ევროპის თასის გათამაშება მძლეოსნობაში. წარმატებით იასპარეზეს სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრების წევრებმა, რომლებმაც 82,5 ქულა დააგროვეს და კონტინენტის თასი დაისაკუთრეს. II ადგილზე არიან თასის შარშანდელ გათამაშებაში გამარჯვებული გდრ-ის სპორტსმენები— 78,5. მომდევნო ადგილები დაიკავეს გფრ-ის (76), დიდი ბრიტანეთის (71,5), ფინეთისა (64,5) და საფრანგეთის (45) გუნდებმა. საბჭოთა სპორტსმენებმა შეჯიბრების პროგრამის ოცი სახეობიდან ექვსში გამარჯვება მოიპოვეს. ვ. პოდლუჟნიმ სიგრძეზე ხტომაში 820 სმ აჩვენა (ეს შედეგი წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში). ა. ბონდარჩუკმა ურო 74,08 მეტრზე ტყორცნა, ვ. გავრილოვმა 215 სანტიმეტრზე გადებული თამასა გადალახა, 10 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებულმა ნ. სვირიდოვმა ამ მანძილის გავლას 28.44,08 მოანდომა, ვ. სანეევი კი პირველი იყო სამხტომში—16,90 მ. ჭოკით ხტომაში გამარჯვება გაიყვეს საბჭოთა სპორტსმენმა ი. ისაკოვმა და ფინელმა ა. კალიომიაკიმ (530 სმ).

ქალთა ასპარეზობაში ყველას აჯობა გდრ-ის გუნდმა, რომელმაც 72 ქულა დააგროვა, II ადგილზე არიან საბჭოთა სპორტსმენები — 52 ქულა.

შეჯიბრებაში ორი მსოფლიო რეკორდი დამყარდა. ერევნელმა ფ. მელნიკმა ბადრო 69,48 მეტრზე ტყორცნა და თავისივე მიღწევა 1 მეტრითა და 90 სანტიმეტრით გააუმჯობესა; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა რ. ფუქსმა შუბი 66 მეტრსა და 10 სანტიმეტრზე ტყორცნა და თავისივე რეკორდს 1,05 მეტრი დაუმატა.

---

# ასპარეზობენ ავიამოდელისტები

თბილისის მახლობლად გაიმართა ავიამოდელისტთა მეორმოცე რესპუბლიკური ჩემპიონატი. I ადგილისთვის ბრძოლა ძირითადად თბილისელ და ქუთაისელ სპორტსმენთა შორის გაჩაღდა.

პლანერისტების შეჯიბრებაში მთავარი მეტოქეები თბილისელი გ. მურადიანი და ქუთაისელი ვ. წილოსანი იყვნენ. ორივე სპორტსმენს დიდი გამოცდილება ჰქონდა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო ტურნირებში მონაწილეობისა. შვიდი ტურის შემდეგ დაძაბული ბრძოლა თბილისელის გამარჯვებით დამთავრდა. სპორტის ოსტატი მურადიანი 1107 ქულით საქართველოს ჩემპიონი გახდა.

რეზინისძრავიანი მოდელებით ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ თბილისელი ლ. მკრტჩიანი და ქუთაისელი რ. ტაბიძე. საბოლოოდ გაიმარჯვა თბილისელმა პირველთანრიგოსანმა.

ტაიმერული მოდელებით შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა თბილისელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ა. გონგინმა, რომელმაც დიდი სხვაობით ჩამოიტოვა მეტოქეები.

ასე დამთავრდა შეჯიბრების პირველი დღე. შემდეგ მონაწილეებმა თბილისში გადმოინაცვლეს, სადაც უნდა ჩატარებულიყო შეჯიბრება საკორდო მოდელებით. კორდოდრომის უქონლობის გამო ყველა სახეობაში ასპარეზობის გამართვა მაინც არ მოხერხდა.

საჰაერო ბრძოლის მონაწილეთაგან ფინალში გავიდნენ თბილისელები ა. ჩერნეცი, ა. გონგინი, ქუთაისელები ვ. ბრეგაძე და რ. ტაბიძე. ამ ორი დუეტის ორთაბრძოლა მეტად საინტერესო გამოდგა, გაიმარჯვეს გამოცდილმა სპორტსმენებმა ჩერნეცმა და გონგინმა.

გუნდური პირველობა დაისაკუთრა თბილისის ნაკრებმა. II ადგილი დაიკავეს ქუთაისის წარმომადგენლებმა, ხოლო III — ლანჩხუთელმა სპორტსმენებმა. შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები, რომელიც მინსკში საკავშირო პირველობაში გამოვა მწვრთნელ ი. ტოკარევის ხელმძღვანელობით.

არ შეიძლება უყურადღებოდ დარჩეს შეჯიბრების არაორგანიზებულობა. როგორც ჩანს, დოსააფის რესპუბლიკური კომიტეტი სათანადო ყურადღებას არ აქცევს სპორტის ამ სახეობას.

ბოლო წლებში რესპუბლიკური შეჯიბრებები არ ტარდებოდა. აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის გუნდები ალბათ არც წლეულს ელოდნენ ჩემპიონატის გამართვას, ვერ მოემზადნენ და საასპარეზოდაც არ გამოცხადებულან. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, ბრძოლას სიმწვავე დააკლო და სრულყოფილი ნაკრების დაკომპლექტებაც გააძნელა. ასე შეიძლება ჩვენს რესპუბლიკაში სულ ჩაკვდეს ისედაც ჩამორჩენილი ავიამოდელიზმი. სწორედ ამ საკითხს ეძღვნებოდა ჟურნალ „კრილია როდინი“-ში დაბეჭდილი საკმაოდ ვრცელი წერილი, სადაც ლაპარაკი იყო საქართველოსა და აზერბაიჯანში ავიამოდელიზმის ჩამორჩენაზე.

საკვირველია, რომ აგერ ათი წელია თბილისში კორდოდრომი აღარ არის. დოსააფის რესპუბლიკურმა კომიტეტმა და ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალურმა სადგურმა დღემდე ვერ მოახერხეს ახალი კორდოდრომის გამართვა. სწორედ ამ მიზეზით არ ჩატარდა თბილისში ალ-მოდელებით შეჯიბრება.

გ. ჭეიშვილი,

ქუთაისის ნაკრები გუნდის წარმომადგენელი.

• • •

სურათზე: საჰაერო ბრძოლის სტარტზეა მექანიკოსი ა. გონგინი (მარცხნივ).

ავტორის ფოტო.



---

# [illegible]-73

● ერევანი, 9 სექტემბერი. სსრ კავშირის თასის გათამაშებაში 70-მდე სპორტსმენი მონაწილეობს. კოშკიდან წყალში მხტომელებში გაიმარჯვა 19 წლის ალმაათელმა სტუდენტმა ა. გენდრიკსონმა—490,86 ქულა. II ადგილზე გავიდა ერევნელი 16 წლის მოსწავლე რ. ბაგდადიანი — 475,59. III საპრიზო ადგილი დაიკავა მოსკოვის არაერთგზის ჩემპიონმა, 21 წლის ო. ზაიცევმა — 466,29.

● კიევი, 9 სექტემბერი. ცხენოსნურ სამჭიდში ევროპის ჩემპიონი გახდა საბჭოთა სპორტსმენი ა. ევდოკიმოვი, რომელმაც 100 საჯარიმო ქულა დააგროვა. ამდენივე ქულა ჰქონდა გფრ-ის წარმომადგენელს ჰ. ბლეკერს, მაგრამ მას ხაველე გამოცდაში უარესი შედეგის გამო II ადგილი მიეკუთვნა. III ადგილზე გავიდა ბლეკერის თანაგუნდელი ჰ. კარსტენი — 109,45. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა გფრ-ის ნაკრებმა — 351,85 ქულა. ვერცხლის მედლები მოიხვეჭეს საბჭოთა მხედრებმა — 508,8, ხოლო ბრინჯაოს ჯილდოები დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს ხვდათ — 536,0.

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ველოსპორტში

# საიმედო დასაწყისი

ამ ბოლო დროს თბილისის ახალი ველოტრეკი მთელი დატვირთვით მუშაობს. რბოლა რბოლას ცვლის, შეჯიბრება — შეჯიბრებას. თბილისის ველოსტადიონისკენ უწყვეტ ნაკადად მიემართებიან სხვადასხვა საკავშირო შეჯიბრების მონაწილენი. ორიოდე კვირის წინ აქ პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა დიდი ტურნირი ჩატარდა, დღეს კი ტრეკი „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობის მონაწილეებს მასპინძლობს. სსრ კავშირის უძლიერესი ველოსიპედისტები ოქტომბრის პირველ რიცხვებში ისევ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში მოიყრიან თავს, სადაც გაიმართება სეზონის ერთ-ერთი მთავარი ასპარეზობა — სსრ კავშირის თასის გათამაშება. როგორც ხედავთ, ველოსპორტის მოყვარულნი საინტერესო სტარტების მოლოდინში არიან.

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობაში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის მოწინავე სპორტსმენები გამოდიან. აღსანიშნავია, რომ გამოცდილ ველოსიპედისტთა გვერდით ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდაც ასპარეზობს. მათ ყოველ რბოლაში შეუძლიათ სიურპრიზი შესთავაზონ მაყურებლებს.

გუშინწინ თბილისელები ტაშს უკრავდნენ საბჭოთა ველოსპორტის ბრწყინვალე ოსტატებს, რომლებიც ერთი-ორი კვირის უკან სან-სებასტიანის მსოფლიო ჩემპიონატში გამოდიოდნენ. ესენი არიან: მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონები თ. გარკუშინა და ვ. ბიკოვი, ამავე ჩემპიონატების პრიზიორები ს. კრავცოვი და ე. სიმენეცი. ქართველი გულშემატკივრები ტაშს უკრავდნენ ახალგაზრდა ოსტატთა ნიჭსა და მონდომებას.

ამ სპორტსმენებიდან ერთ-ერთმა, ბელორუსიელმა დ. პანკინმა 1000 მეტრზე ადგილიდან გიტში ტონი მისცა ბრძოლის სიმწვავეს. პანკინი სტარტზე მეოთხე იყო და მისი შედეგი (1.10,67) დიდხანს ვერავინ გააუმჯობესა.

ბოლოს, როგორც იქნა, პანკინს მოსკოველმა საერთაშორისო კლასის ოსტატმა მ. მალახოვმა (1.09,76) აჯობა, მაგრამ მისი სიხარული ნაადრევი გამოდგა: მალახოვის შემდეგ სტარტზე თბილისელმა ვ. ივანოვმა აიღო და თავისი წინამორბედის შედეგს 0,62 წამი ჩამოაჭრა (ეს შედეგი — 1.09,14 — ახალი რესპუბლიკური რეკორდია).

ბელორუსიის წარმომადგენელმა ვ. ბიკოვმა დისტანციის გავლას 1.08,95 მოანდომა. ეს საერთაშორისო კლასის შედეგი თავისებური ორიენტირი გამოდგა მათთვის, ვისაც სტარტის აღება ბიკოვის შემდეგ მოუხდა. პირველი იერიში ბელორუსიელი ველოსიპედისტის შედეგზე უკრაინელმა ე. სიმენეცმა მიიტანა. იგი თითქოს ახლოსაც იყო მიზანთან, მაგრამ ფინიშზე მკვეთრად უკლო ტემპს და საბოლოოდ 1.10,03 აჩვენა.

მეორე იერიში ბიკოვის შედეგზე მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა, უკრაინელმა ს. კრავცოვმა მიიტანა. კრავცოვი, ისევე, როგორც სიმენეცი, სპრინტერია და კილომეტრიანი დისტანცია მისი მთავარი ამპლუაა. კრავცოვისგან ყველა მაღალ შედეგს ელოდა და მოლოდინი გამართლდა: ველოსიპედისტმა 1.08,04 აჩვენა და ბრძოლას სათავეში მოექცა.

კრავცოვის მაჩვენებელი ორჯერ იყო აშკარა საფრთხის წინაშე. მასზე იერიში ორივეჯერ ბელორუსიელმა სპორტსმენებმა მიიტანეს, რომლებსაც, როგორც ჩანს, თანაგუნდელი ბიკოვის პრესტიჟის აღდგენა სურდათ. მაგრამ ლიდერს მაინც ვერავინ აჯობა. ა. ვდოვინმა მხოლოდ მეორე შედეგი აჩვენა (1.08,13), ნ. შიმანოვიჩმა კი მესამე (1.08,57).

მოდით და ნუ იტყვით ამის შემდეგ, თბილისის ველოტრეკი მართლაც სარეკორდოდ სწრაფია. — ოთხმა მონაწილემ აჩვენა 1 წუთსა და 9 წამზე უკეთესი შედეგი. ასეთი რამ ჩვენს ველოსტადიონებზე არასდროს მომხდარა.

ქალთა ასპარეზობა 500 მეტრზე ადგილიდან გიტში, როგორც მოსალოდნელი იყო, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა, ტულელმა თ. გარკუშინამ მოიგო — 37,92. II ადგილი ხვდა ასევე რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს ნ. ანისიმოვას — 38,03, ხოლო III — ყირგიზეთის გუნდის წევრს გ. სემიონოვას — 39,03.

• • •



სურათებზე: მარცხნივ — თ. გარკუშინა, მარჯვნივ — ს. კრავცოვი; ქვევით — ასეთ ჯიხურებში არიან ჩამალული სტარტის მოლოდინში ველოსიპედისტები.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# დაწინაურდა პოლუგაევსკი

8 სექტემბერს პორტოროჟში (იუგოსლავია), სამი დიდოსტატის მატჩ-ტურნირში, გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო. ორი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი ლ. პორტიშს (უნგრეთი). იგი ჯერ ე. გელერთან (სსრ კავშირი) დაჯდა სათამაშოდ. მეტოქეებმა მხოლოდ 8 სვლა გააკეთეს და დაზავდნენ. მერე პორტიში ლ. პოლუგაევსკის (სსრ კავშირი) ეთამაშა. აქ 13 სვლა გაკეთდა. პოლუგაევსკიმ უიმედოდ ცნო შემდგომი წინააღმდეგობა და დანებდა.

9 სექტემბერს პოლუგაევსკიმ 35-ე სვლაზე დაამარცხა გელერი. ამრიგად, პოლუგაევსკის 2 ქულა აქვს და მატჩ-ტურნირის ლიდერია. პორტიშს 1,5 ქულა აქვს, გელერს — 0,5.

# პირად და გუნდურ ჩათვლაში

**ლონდონი, 9 სექტემბერი.** თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა მსოფლიო პირველობაში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა სპორტსმენებმა. ისინი პირველნი იყვნენ როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში. მსოფლიო ჩემპიონი გახდა ლვოველი პ. ლედნიოვი, რომელმაც 5.413 ქულა მოაგროვა, II ადგილი დაიკავა ვ. შმელიოვმა (მოსკოვის ოლქი) — 5268, III — წინა მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულმა, კიეველმა ბ. ონიშჩენკომ — 5198 ქულა. საბჭოთა სპორტსმენებმა გუნდურ ჩათვლაში 15943 ქულა დააგროვეს და 892 ქულით გაუსწრეს II ადგილზე გასულ გფრ-ის ნაკრებს. III ადგილი დაიკავა უნგრეთის გუნდმა — 14856.

# ცეცხლის ხაზზე

ამას წინათ ზუგდიდის დოსააფისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტებმა მოაწყეს სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი პირად-გუნდური შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. ასპარეზობაში მონაწილეობდა საწარმო-დაწესებულებათა 20 ფიზკულტურული კოლექტივის 98 მსროლელი.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ 173 ქულით გაიმარჯვა ენგურჰესის სამმართველოს ნაკრებმა. 132 ქულით II ადგილი დაიკავა ენგურქაღალდკომბინატის გუნდმა, ხოლო 125 ქულით III ადგილზე გავიდა № 1 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივი.

პირად პირველობაში ვაჟთა შორის 42 ქულით ჩემპიონობა მოიპოვა გ. ჭეჟიამ, 40 ქულით II საპრიზო ადგილზე გავიდა ვ. შონია (ენგურქაღალდკომბინატი), ხოლო III ადგილი 38 ქულით დაიკავა ა. სოსელიამ (ლუდისა და ხილეული წყლების ქარხანა).

ქალთა შორის I ადგილი არავის დაუთმო დ. კვარაცხელიამ. მეორე იყო ო. ბოჩენკოვა (ორივე — ენგურჰესის სამმართველო), ხოლო მესამე — დ. ბურლაშვილი (საქვაჭრობის განყოფილება).

ბ. ალშიბაია.

## ფეხბურთი

## ჩემპიონატები, თასები, ლიგები

### ინგლისი

გათამაშების ლიდერმა — „ლიდს იუნაიტედმა“ შაბათს მორიგი გამარჯვება მოიპოვა და თავის მინდორზე სძლია „ბირმინგემ-სიტის“ — 3:0. სტუმართა კარში სამივე ბურთი „ლიდსისა“ და შოტლანდიის ნაკრების ფორვარდმა ლორიმერმა გაიტანა.

„ლივერპულმა“ შინ მინიმალური ანგარიშით მოუგო ლონდონის „ჩელსის“ — 1:0. ხოლო „იფსვიჩ-თაუნმა“ — „მანჩესტერ იუნაიტედს“ — 2:1. ლონდონის „არსენალმა“ მოულოდნელი მარცხი იწვნია „ლესტერ-სიტისგან“ — 0:2.

5 ტურის შემდეგ 10 ქულით წინაა „ლიდს იუნაიტედი“.

### შოტლანდია

გლაზგოს „სელტიკმა“ მიიღო „კლაიდი“ და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 5:0. სამი გოლი გაიტანა „სელტიკის“ ვეტერანმა ლენოქსმა.

„გლაზგო რეინჯერსმა“ სტუმრად მოუგო „პარტიკ თისტლს“ — 1:0.

4-4 ქულით ლიდერობენ „სელტიკი“, „ჰართ ოვ მიდლოტიენი“ და „დანდი იუნაიტედი“.

### გფრ

ჩემპიონატის VI ტურში ბრემენის „ვერდერი“ შინ დამარცხდა მენჰენგლადბახის „ბორუსიასთან“ — 2:3. აღსანიშნავია, რომ პირველი ნახევარი მოიგეს მასპინძლებმა — 2:0.

გელზენკირხენში ადგილობრივი „შალკე 04“ პირველი ტაიმის შემდეგ წინ იყო მიუნხენის „ბაიერნთან“ შეხვედრაში. მეორე ტაიმში ორივე კარში კიდევ 7 გოლი გავიდა და მატჩი დამთავრდა ფრედ — 5:5.

მაინის ფრანკფურტში ადგილობრივმა „აინტრახტმა“ მოუგო „ჰამბურგერ შპორტფერაინს“ — 1:0.

11 ქულით ლიდერობს მენჰენგლადბახის „ბორუსია“. „ბაიერნსა“ და „აინტრახტს“ 10-10 ქულა აქვთ.

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ჯაფარიძე.**

**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:**

მეცნიერული კომუნიზმის მასწავლებელი მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრაზე. ერთი ადგილი;

სათხილამურო სპორტის უფროსი მასწავლებელი მთამსვლელობის, ტურიზმისა და სათხილამურო სპორტის კათედრაზე. ერთი ადგილი;

კრივის მასწავლებელი სიმძიმეების აწევისა და კრივის კათედრაზე. ერთი ადგილი;

ტანვარჯიშის კათედრის მასწავლებელი. ერთი ადგილი.

კონკურსის ვადაა ორი კვირა დღიდან გამოცხადებისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში ყოველდღე, 9-დან 4 საათამდე.

**ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 49. ტელეფონი: 22-31-60; 22-00-76.**

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** ასკ-ს სტადიონი. 11 სექტემბერი. საქართველოს პირველობა. ასკ (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი). დასაწყისი 17 ს.

იუმორესკა

# განწყობილება მინორულია...

ზღვა ხალხი მოაწყდა თბილისის გულს. კოჯრის, კიკეთის, თელეთის მასივებიდან საბაგირო გონდოლებით დაეშვნენ სპორტის ქომაგნი, რუსთავიდან ამოსრიალდნენ მონორელსით.

მზის შუქი დაფარა უთვალავმა მინი-შვეულმფრენმა, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ პერიფერიებიდანაც დაგვდეს პატივი კოლმეურნე გულშემატკივრებმა.

თბილისის მისადგომებთან, ნიშნად მისალმებისა, განუწყვეტლივ ახმიანებენ საყვირს კასპიისა და შავი ზღვის არხში მცურავი საოკეანო ლაინერები.

მილოცვები, მილოცვები!..

მთვარიდან გვაწვდის ხმას პირველი ქართველი ასტრონავტი გელა მნათობიშვილი.

აღსრულდა! ამაოდ არ ჩაუვლია მეოთხედი საუკუნის მანძილზე გაწეულ შრომას — ტემპიანსა და ფეხჩაუხრელს.

დიახ, დროის ამ უმნიშვნელო მონაკვეთში საშვილიშვილო საქმე გაკეთდა.

და ამ საზეიმო დღეს, თითქოსდა საგანგებოდ, დიდი ფეხბურთიც დაემთხვა: ერთურთს შეერკინება თანამედროვე ფეხბურთის ორი კაშალოტი: საკონტინენტთაშორისო თასის სამგზის მფლობელი, ზობატურის დიდი საერთაშორისო ტურნირის პრიზიორი, ისლანდიის „რეიკიავიკ-გეიზერი“ და სსრ კავშირის ცამეტგზის ჩემპიონი, თასის უამრავგზის ფინალისტი — თბილისის „დინამო“.

მიუხედავად ამისა, გულშემატკივართა განწყობილება მაინც ოდნავ მინორულია: სწორედ დღეს დინამოელები საზეიმოდ აცილებენ მსოფლიო ფეხბურთის სახელგანთქმულ დიდოსტატებს ვაჟა არქანიას და მიხეილ მესხ-უმცროსს, რომლებმაც სულ ახლახან გადალახეს ორმოცი წლის მიჯნა და საყოველთაო აზრით, ნაადრევად ტოვებენ აქტიურ ფეხბურთს. რას იზამ! ვუსურვოთ მათ ბედნიერება პირად ცხოვრებასა და სამწვრთნელო მოღვაწეობაში.

დიახ! კიდევ ერთი და ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ჩვენი რეპორტაჟისა: აღსრულდა! მოზეიმე გულშემატკივართა ყიჟინა დღეს აღარ ახმიანებს „ლოკომოტივის“ ტრიბუნებს, მწყობრში ჩადგა ჩვენი საყვარელი სტადიონი „დინამო“!

მოვილოცავთ და გიწვევთ, მეგობრებო!

აღფრთოვანებულ ჰოლარა გულშემატკივართა სახელით — **ქახი პატიაშვილი.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. უე 02742